პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
27
ივნისი
№ 150
(16276)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ. ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება დღეს, 27 ივნისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 27 ივნისს, დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

26 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-17 პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროთა, უწყებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

„სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინთბა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ვ. გაიდოშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მეინსტრუმენტე ზეინკალი ვ. მ. გონჩაროვი, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ე. ჩიგოგიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი ფ. ნ. თავაძე, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი უ. გ. სანაკოევი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ო. დ. ქინქლაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. გ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ს. ფხაკაძე, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი რ. გ. ჯაფარიძე, საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ნ. შ. ჯანგელიძე.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საკითხები და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის ანგარიში გამოქვეყნდება.

(საქინფორმი).

ხალხის რჩეულნი

აი, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მოწინავე ადამიანები, რომლებიც შონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობაში, რომელიც დღეს გაიხსნება თბილისში.

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ც. თოდიძე, ამავე რაიონის სოფელ ჩხარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე ე. გუცხერიკიძე, სიღნაღის რაიონის ტიბაანის საბჭოთა მეურნეობის მუშა ლ. კოსტაშვილი, ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე რ. სირაძე, სიღნაღის რაიონის ანაგის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ნ. ნანიკაშვილი, წულუკიძის ძაფსაღები ფაბრიკის მუშა შ. წვერავა, ყვარლის რაიონის ენისელის მევენახეობის ხაბჭოთა მეურნეობის მუშა თ. წიქარიძე, წალკის რაიონის თრიალეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავები ა. ტომგულოვი და წ. მიქაელიანი, ჩოხატაურის რაიონის ვანზოშვილთის ტყალონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ი. თაკაძე, ადიგენის რაიონის ფსეროს კოლმეურნეობის მეკარტოფილე ე. ხუჯაძე და ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობის მეჩაიე თ. ოსეფაშვილი.

გ. გოგოხიას ფოტო.

ახალგაზრდა მეცხვარეთა მესამე საკავშირო შეკრების მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ, ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელებს — სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, და თქვენი სახით — ჩვენი ქვეყნის ყველა მეცხვარეს.

სამშობლო მადლიერებით აღნიშნავს ლენინური კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის დიდ წვლილს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში, როგორიც არის მეცხვარეობა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს მეცხოველეობა რიგებს შეემატა ახალგაზრდა კადრები. საშუალო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გუშინდელი კურსდამთავრებულნი პარტიის მოწოდებით, თავიანთი გულსათქმით მოვიდნენ ამ დარგში. ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციის, ყირგიზეთის, უკრაინის ბევრ ოლქსა და მეცხვარეობის სხვა რაიონებში შექმნილია მექანიზებული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და ფერმები. ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთი უფროსი ამხანაგების — დამრიგებლებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ხელმძღვანელობით ზედმიწევნით სწავლობენ მეცხვარეობას და თავიანთი ენთუზიაზმით, ცოდნით, შრომისმოყვარეობით ხასიათს უცვლიან მწყემსის ძველ პროფესიას, მუშაობენ ინიციატივიანად, თავდადებულად, ბევრმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის დავალებანი.

თქვენი შეკრება მიმდინარეობს ყაზახეთის მიწა-წყალზე, სადაც საბჭოთა ხალხმა დიდი შრომითი გმირობა ჩაიდინა ყამირზე, ახლა კი ჩაიდება ბრძოლა ცხვრის სულადობის 50 მილიონამდე გადიდებისათვის. და ძალზე კარგია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტაში, ისევე როგორც ყამირის ათვისებაში, აქტიურად მონაწილეობენ კომკავშირელები და ახალგაზრდობა.

ეჭვი არ არის, რომ, თქვენ, ფერმის ყველა მშრომელნი შემოქმედებითად გამოიყენებთ სტაროპოლის, სემიპალატინსკის, მარეთის, ყირგიზეთის მეცხვარეთა გამოცდილებას, და ებრძოლებთ ახალი მაღალი შედეგებისათვის ცხვრისა და თხის სულადობის გადიდების, მათი პროდუქტიულობის ამაღლების, საკვები ბაზის განმტკიცებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციის ამოცანათა გადაწყვეტაში.

მწამს, რომ ახალგაზრდა მეცხვარეები, სოფლის ყველა კომკავშირელი და ახალგაზრდობა კიდევ მეტი აქტიურობით იბრძოლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის, იშრომებს სტახანოვურად, კომუნისტურად.

ვისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებებს შრომაში, სწავლაში, კომკავშირულ მუშაობაში, პირად ბედნიერებას, ახალ მიღწევებს სიბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ლ. ბრეჟნევი

ბელგიელთა მეფე მოსკოვიდან გაემგზავრა

ბელგიელთა მეფე ბოდუენმა და დედოფალმა ფაბიოლამ 25 ივნისს საუზმე გაუმართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მეფე ბოდუენმა და ნ. ვ. პოდგორნიმ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

მეფე ბოდუენი ეწვია ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტს, დათვალიერა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა და ოსტანკინოს ტელეკოშჯი.

ბელგიელი სტუმრები გაეცნენ აგრეთვე მოსკოვის კრემლის არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლებს.

იმავე დღეს მოსკოვიდან გაემგზავრნენ ბელგიის პრემიერ-მინისტრი ლ. ტინდემანსი და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ვან ელსლანდი.

შერემეტიევოს აეროდრომზე სტუმრები გააცილეს კ. ტ. მაზუროვმა, ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ბელგიის ოფლანდრიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეფორმების საკითხთა მინისტრი რ. ვანდერკერკოვი, რომელიც 25 ივნისს ჩამოვიდა მოსკოვში, აგრეთვე ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ა. თორტომი.

26 ივნისს მოსკოვიდან საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ წავიდნენ ბელგიელთა მეფე ბოდუენი და დედოფალი ფაბიოლა.

საპატიო სტუმრები იწვევიან ტაშკენტს, სამარყანდს, ირკუტსკს, ბრატსკსა და ლენინგრადს.

ბელგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე თვითმფრინავთან საპატიო სტუმრები მიაცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარი ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ვ. პოდგორნიმ და მეფე ბოდუენმა ჩამოაყარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. საპატიო სალაშრები გააცილეს დედაქალაქის მბრძოლთა წარმომადგენლებმა.

იმავე დღეს მეფე ბოდუენი და დედოფალი ფაბიოლა ჩავიდნენ ტაშკენტში.

(საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი შეხვდა დ. ლაზარს და დ. მენესკუს

ბუდაპეშტი, 26 ივნისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ბუდაპეშტში იმყოფება ეკონომიური უთანხმოებათა საბჭოს 29-ე სესიაზე, 25 ივნისს შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დ. ლაზარს.

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრულ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ერთმანეთს გაუცვლეს, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. აგრეთვე მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც კავშირებულია მომავალ ხუთწლეულში სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციისა და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებასთან.

ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა მთავრობის სახელით მეგობრული ვიზიტით მიიწვია დ. ლაზარი საბჭოთა კავშირში, ამ მიწვევას დ. ლაზარი მადლობით დათანხმდა.

ბუდაპეშტი, 26 ივნისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი აქ შეხვდა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს მ. მენესკუს.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ რუმინეთის თანამშრომლობისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სახელმწიფოების სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ღონისძიებათა განხორციელებაში ორივე ქვეყნის მონაწილეობის ზოგიერთ საკითხზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაუმჯობესოთ სახელმწიფო გამოცდებისა და დიპლომების დაცვის ორგანიზაცია და ჩატარება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გამოცდების ჩატარებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის ხარისხის და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც ექვემდებარება უმაღლესი სასწავლებლები, ვარკვეული მუშაობა გასწიეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და ბიუროს დადგენილებათა განხორციელებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესაბამისად უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა კადრების მომზადების შემდგომ სრულყოფას. მარტო 1973 და 1974 წლებში სახალხო მეურნეობაში უმაღლესი განათლების მქონე დაახლოებით 26 ათასი სპეციალისტი გაიგზავნა სამუშაოდ. ახალგაზრდობას უფრო გულდასმით არჩევენ უმაღლეს სასწავლებლებში. ხორციელდება სპეციალური დისციპლინებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებები, მტკიცდება უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამასთან, ხაზგასმულია დადგენილებაში, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის პირობებში სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების კვალობაზე სულ უფრო მწვავედ იჩრქნობა ნაკლოვანებები ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიულ და იდეურ-პოლიტიკურ მომზადებაში. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ბევრ კურსდამთავრებულს ეტყობა, რომ სუსტად იცის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დარგების, ტექნოლოგიური პროცესების, მართვის საკითხები. ისინი ვერ ერკვევიან ეკონომიკის ელემენტარულ საკითხებში, მომზადებული არ არიან თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის პროგრესის პირობებში დამოუკიდებელი მუშაობისათვის. დაბალია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის დონე.

კვალიფიციური და პოლიტიკურად მომწიფებული სპეციალისტებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურულ-სოციალური მშენებლობის უზრუნველყოფისათვის დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო გამოცდებს და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვას. ეს საშუალებას იძლევა შემოწმდეს ახალგაზრდა სპეციალისტთა მეცნიერულ-თეორიული, იდეურ-პოლიტიკური და პრაქტიკული მომზადება. სტუდენტთა სწავლების ამ დამამთავრებელი ეტაპის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება იმ ისტორიული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც რესპუბლიკის წინაშეა დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამასთან, აღნიშნულია დადგენილებაში, ამ ბოლო ხუთწლედში სახელმწიფო გამოცდებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის შედეგები მოწმობს, რომ ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტის პროფესიული ცოდნისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე დაბალია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სახელმწიფო გამოცდებზე და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვაზე დაშვებულთა თითქმის მეათედმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო და კურსდამთავრებულთა მხოლოდ 4,3-მა პროცენტმა მიიღო წარჩინების დიპლომი. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ საღამოს და დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულებს.

დადგენილებაში აღნიშნულია რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სუსტი მომზადება.

(დასასრული მე-2 გვ.).

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

დავალება შესრულებულია

ტყვარჩელი. ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც სკკპ მომავალი XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, ვადამდე შეასრულა კონცენტრატის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. თვის ბოლომდე მეტალურგები პროგრამის ვადამეტებით მიიღებენ 17 ათას ტონა ამ პროდუქციას. წარმატება მიღწეულია კონცენტრატის გამდიდრების ახალი მეთოდის დანერგვის მეოხებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს მადნის მრეცხავებმა ნ. მარშანიამ, რ. პშენიჩნიკოვამ. ცვლებმა, რომლებსაც ი. ინჯბა, ნ. ბენდელიანი ხელმძღვანელობენ. (საქინფორმი).

ხუთწლიანი გეგმა განაღდებულია

თბილისის პურპროდუქტების კომბინატის კოლექტივი, რომელიც ჩაება გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა — ხუთწლიანი გეგმა 5 მაისისათვის შესრულა. ასევე გადაჭარბებით განაღდეთ მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა — ვალდებულებაც. პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულებულია 106,7 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 108,1 პროცენტით.

კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლეულს გეგმის გადამეტებით აწარმოოს 2 მილიონ მანეთის პროდუქცია. განვლილ ხუთ თვეში უკვე დამზადებულია 1.240 ათასი მანეთის პროდუქცია..

ბ. ჭელიძე,
თბილისის პურპროდუქტების კომბინატის პარტიულის მდივანი.

გუშინ თავი ისახელეს

ჰურეულის მკაში

სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის კომბაინერმა ვ. მეჰურეულიშვილმა ერთ დღეს პურეულის მოსავალი აიღო 14 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 28 ცენტნერი მარცვალი. ვაქირის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ვ. ხელაშვილმა — 12 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 25 ცენტნერი მარცვალი, ხოლო ბოდბის ალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ვ. ნაზარაშვილმა — 16 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 19 ცენტნერი მარცვალი.

ყვარლის რაიონის მთისძირის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის კომბაინერმა ი. შეშაბერიძემ ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 23 ცენტნერი მარცვალი. მან 4 სამუშაო დღეში მომკა 39 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32 ჰექტარისა და გალეწა 87 ცენტნერი მარცვალი.

ჩაის კრეფაში

ქობულეთი. ქვედა კვირიკეში კარგად არის ცნობილი ნუნუ გორგილაძის სახელი. მან 6 წლის წინათ დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაის პლანტაციებს მიაშურა. შარშან მოკრიფა 8,8 ტონა ჩაის ფოთოლი, წლეულს ათი ტონისათვის იბრძვის. ერთ დღეს მოკრიფა 70 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გავაუმჯობესოთ სახელმღვიფო გამოცდებისა და დიპლომების დაცვის ორგანიზაცია და ჩატარება

(დასასრული)

ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, საშრეთ ოსეთის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში საეციალისტთა მომზადების დონის მაჩვენებლები გაცილებით დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. სოციალურ-პოლიტიკურ სპეციალობებში ჯეროვანი მომზადება არა აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, აგრეთვე ე სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სუსტი მომზადება, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის შთელი რიგი დარგებისა და განსაკუთრებით მეცხოველეობის ჩამორჩენას.

ასეთი მდგომარეობა, ნათქვამია დადგენილებაში, იმის შედეგია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ნელა გარდაიქმნება სასწავლო პროცესი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ჯერ კიდევ არის ცოდნის შეფასების დროს ლიბერალიზმის შემთხვევები, ბევრია „საშუალო“ სტუდენტი, რექტორატები და პარტიული კომიტეტები (ბიუროები) ჯეროვან კონტროლს არ უწევენ კათედრების მუშაობას და სტუდენტთა მომზადების ხარისხისათვის, ტკიცე მარქსისტულ-ლენინური მრწამსის მქონე კომპეტენტურ სპეციალისტთა აღზრდისათვის თვითეული მასწავლებლის პერსონალურ პასუხისმგებლობას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო გამოცდებისა და სადიპლომო პროექტებისა და ნაშრომების რეცენზირება, ლიბერალიზმს იჩენენ მათს შეფასებაში, იოლ ვევა სახელმწიფო საგამოცდო კომისიების მუშაობის რეჟიმი და რეგლამენტი, მეტისმეტად ჭიანურდება გამოცდებისა და დიპლომების დაცვა.

უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებაში, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის ორგანიზაციაში ნაკლოვანებები, უხეში დარღვევები, ზოგჯერ კი ჩავარდნებიც იმის შედეგია, რომ არ იგრძნობა სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი, რესპუბლიკაში სახელმწიფო გამოცდებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის პრაქტიკა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე, სტუდენტთა სასწავლო და სადიპლომო პრაქტიკის ორგანიზაციაში, საერთაოდ არ ზრუნავენ თვითეული კურსდამთავრებულის შემდგომი ბედისა და მუშაობის პერსპექტივისათვის. ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება ხდება მათი მომზადების დონისა და გამოსაშვები გამოცდების და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის შედეგების გაუთვალისწინებლად. მჭიდრო კავშირი არ არის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებს. საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ყოველივე ეს უარყოფითს გავლენას ახდენს სპეციალისტთა მომზადების ხარისხზე, სახალხო მეურნეობაში, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროებში მათს სწორ გამოყენებაზე.

რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელები არ ხედავენ უმაღლესს სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, არ აცნობენ მათ საქმის მდგომარეობას სახალხო მეურნეობისა და კულტურულ-სოციალური მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, რეპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი. ნათქვამია დადგენილებაში, ზერელედ და ფორმალურად ეკიდებიან სახელმწიფო გამოცდებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხებს, გვერდს უვლიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. ისინი სათანადო კონტროლს არ უწევენ და ა ბორციელებენ კონკრეტულ -ღონისძიებებს ამ საქმეში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად, სუსტად უწევენ კონტროლს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ყველა რგოლის მუშაობას, კვალიფიციური კადრების მომზადებას. უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი კათედრები, დეკანატები, რექტორატები და პარტიული კომიტეტები (ბიუროები) ჯერ კიდევ არ განმსჭვალულან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პროფესიული და იდეიურ-პოლიტიკური მომზადების ხარისხისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, სისტემატიურად არ უწევენ კონტროლს სტუდენტთა და მასწავლებელთა მუშაობას, არ იღვწიან იმისათვის, რომ შექმნან საჭირო პირობები სპეციალისტთა მომზადების მკეთრი გაუმჯობესებისათვის, არ ეწევიან პრინციპულ ბრძოლას ზოგიერთი მასწავლებლის არაკომპეტენტურობის, სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

დადგენილება რესპუბლიკური პრესის, რადიოს და ტელევიზიის სპეციალიზებული სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდიური ჟურნალების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ისინი სუსტად აშუქებენ უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარვეზებს. საჭიროა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რათა ქმედითი კონტროლი გაეწიოს უმაღლესი სასწავლებლების თვითეული მასწავლებლის შუშაობას, ამაღლდეს მათი პერსონალური პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური მომზადების ხარისხისათვის, თანამედროვე ცოდნით, ორგანიზატორული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩვევებით, იმ უნარით მათი შეიარაღებისათვის, რომ პრაქტიკულად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა, შეუორგებლად ებრძოლონ ლიბერალიზმს სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში.

მათ დაეალოთ აამაღლონ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სპეციალისტთა სპეციალისტების მომზადების დონისათვის, კურსდამთავრებულთა მეცნიერული კომუნისტური ცოდნის ხარისხისათვის, სერიოზული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ თვითეულმა სტუდენტმა გაიაროს კვლევითი შემოქმედებისა და სოციალურ-პოლიტიკური პრაქტიკის სკოლა.

საჭიროა სისტემატურად, ღრმად და ყოველმხრივ გავაანალიზოთ თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო გამოცდებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის შედეგები, აღმოვფხვრათ უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის ამ დამამთავრებელი ეტაპის განხორციელების პრაქტიკისადმი ზერელე, არასახელმწიფოებრივი მიდგომა, განვსორციელოთ ქმედითი ღონისძიებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საფუძვლიანად უნდა შეეისწავლოთ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებათა მუშაობა, შეეიმუშაოთ კონკრეტული წინადადებები, რათა ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადება ამ ფორმის სწავლებაში.

უნდა განვიხილოთ უმაღლესი სასწავლებლების ამ პროფესორებისა და მასწავლებლების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც თავიანთ მუშაობაში ურიგდებიან ლიბერალიზმს და არაკომპეტენტურობას სპეციალისტთა მომზადებაში.

რესპუბლიკის სახელმწიფო სადგგმო კომიტემა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის სამინისტროებთან, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან ერთად უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებისა და გამოყენებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ მათი წარმატება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს, აგრეთვე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისა და სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) დაცვის ორგანიზაცია.

დადგენილება საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტს ავალებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებთან ერთად აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებები. მათ თვითეული უმაღლესი სასწავლებლისათვის უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა ძირფესვიანად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის პერსპექტივების შესაბამისად გაუმჯობესდეს უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხი. საჭიროა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რათა ქმედითი კონტროლი გაეწიოს უმაღლესი სასწავლებლების თვითეული მასწავლებლის შუშაობას, ამაღლდეს მათი პერსონალური პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური მომზადების ხარისხისათვის, თანამედროვე ცოდნით, ორგანიზატორული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩვევებით, იმ უნარით მათი შეიარაღებისათვის, რომ პრაქტიკულად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა, შეუორგებლად ებრძოლონ ლიბერალიზმს სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში.

დადგენილება საქართველოს ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტს ავალებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებთან ერთად აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებები. მათ თვითეული უმაღლესი სასწავლებლისათვის უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა ძირფესვიანად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის პერსპექტივების შესაბამისად გაუმჯობესდეს უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხი.

ლენინური პრემიის ლაურეატმა ა. ბ. ბითი პროცესის ყველა რგოლის მუშაობას, ყველაფერი ერეკ მოქმედებას, ეფექტიანობა ამაღლდეს. უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი კათედრები, დეკანატები, რექტორატები და პარტიული კომიტეტები (ბიუროები) ჯერ კიდევ არ განმსჭვალულან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პროფესიული და იდეიურ-პოლიტიკური მომზადების ხარისხისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, სისტემატიურად არ უწევენ კონტროლს სტუდენტთა და მასწავლებელთა მუშაობას, არ იღვწიან იმისათვის, რომ შექმნან საჭირო პირობები სპეციალისტთა მომზადების მკეთრი გაუმჯობესებისათვის, არ ეწევიან პრინციპულ ბრძოლას ზოგიერთი მასწავლებლის არაკომპეტენტურობის, სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

დადგენილება რესპუბლიკური პრესის, რადიოს და ტელევიზიის სპეციალიზებული სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდიური ჟურნალების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ისინი სუსტად აშუქებენ უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარვეზებს. საჭიროა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რათა ქმედითი კონტროლი გაეწიოს უმაღლესი სასწავლებლების თვითეული მასწავლებლის შუშაობას, ამაღლდეს მათი პერსონალური პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური მომზადების ხარისხისათვის, ეფექტიანობა ამაღლდეს ეროვნულ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა ამ საქმეში.

ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის, ინსტიტუტ „ეროვნული ეკონომიკა“ ერთად, ეკონომიკური

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესიამ აირჩია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შექმნა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ბ. ვ. შინკუბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ — შ. მ. თათარაშვილი.

სესიამ განიხილა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შ. მ. თათარაშვილის მოხსენება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სახალხო განათლების მდგომარეობა და მისი შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 25 ივნისი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა აჭარის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

უხუცესთა საბჭოს სახელით სესია გახსნა დეპუტატმა ვ. ქურიძემ. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი მ. სარიშვილი.

სესიამ შექმნა აჭარის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები. არჩეულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია დეპუტატი დ. დიასამიძე, მდივნად — დეპუტატი გ. ქაჯაია.

სესიამ შექმნა აჭარის ასს რესპუბლიკის მთავრობა. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია დეპუტატი ი. ჯაში.

დეპუტატებმა მოისმინეს და განიხილეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ჯაშის მოხსენება ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლიანი გეგმისა და 1975 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

ᲡᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ, 25 ივნისი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა აჭარის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ სახელით სესია გახსნა დეპუტატმა ვ. ქურიძემ. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი მ. სარიშვილი.

სესიამ შექმნა აჭარის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები. არჩეულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია დეპუტატი დ. დიასამიძე, მდივნად — დეპუტატი გ. ქაჯაია.

სესიამ შექმნა აჭარის ასს რესპუბლიკის მთავრობა. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია დეპუტატი ი. ჯაში.

დეპუტატებმა მოისმინეს და განიხილეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ჯაშის მოხსენება ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლიანი გეგმისა და 1975 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ, 26 ივნისი. (საქინფორმის კორ.). გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მე-15 მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პირველი სესია. სესიამ აირჩია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია გ. მარდანოვი. სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან დეპუტატები თ. ჯაბუღოვა და ბ. ინასარიძე, მდივნად — დეპუტატი ი. კოკოევი.

სესიაზე დაამტკიცეს სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის განყოფილებათა გამგეები, საგეგმო კომისიისა და კომიტეტების თავმჯდომარეები. შეიქმნა შრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს 12 მუდმივი კომისია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 26 ივნისი. (საქინფორმის კორ.). გაიმართა ქუთაისის მეთხუთმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესიამ აირჩია საქალაქო საბჭოს აღმასკომი ათი კაცის შემადგენლობით, დაამტკიცა განყოფილებების გამგეები და სამმართველოების უფროსები, საგეგმო კომისიის და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეები, შექმნა საქალაქო სახალხო კონტროლის კომიტეტი და დაამტკიცა მისი შემადგენლობა.

სესიამ აირჩია საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია დ. დეკანოიძე, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გ. აბზიანიძე, მოადგილედ ვ. გოდუაძე, მდივნად გ. ფაჩუაშვილი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იღებს ნამუშევრებს 1976 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად. მიღება იწყრმოებს 1975 წლის 16 ოქტომბრამდე.

მიიღება ნამუშევრები, რომლებიც გამოქვეყნებულია (აგებულია) არაუგვიანეს 1974 წლის 15 ოქტომბრისა.

ამავე დროს კომიტეტი იღებს ნამუშევრებს 1976 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად. ნამუშევრების მიღება იწყრმოებს 1975 წლის 15 დეკემბრამდე.

მოიღება ნამუშევრები, რომლებიც გამოქვეყნებულია (აგებულია) არაუგვიანეს წლევანდელი წლის 15 ივნისისა. წარდგენილი სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1974 წლის 15 დეკემბრისა.

ერთი და იგივე ნამუშევრის წარდგენა ერთდროულად ლენინური და სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად არ შეიძლება

ნამუშევრების წარდგენასა და გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გამო მიმართეთ სსრ კავშირის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო . პრემიების კომიტეტს მისამართით: მოსკოვი, გსპ-4, ნეგლინის ქუჩა, 15, ტელეფონი—223-44-67, 223-19-30.

26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲣᲗᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. (საკრებული). წუხელ ლიბანის დედაქალაქის გარეუბნებში გრძელდებოდა შეიარაღებული შეტაკებები კატაიბის პარტიის ფალანგისტებსა და პალესტინელებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ღილისთვის სროლა შეწყდა, ამ რაიონებში კვლავ დაძაბული ვითარებაა.

პრესის ცნობებით, გუშინდელი დღის განმავლობაში დაიღუპა 8 და დაიჭრა 35 კაცი. შეიარაღებული შეტაკებების განახლებამ დაარღვია ბევრი სამრეწველო საწარმოსა და სავაჭრო ფირმის ნორმალური საქმიანობა. ბეირუთ-დამასკოს საერთაშორისო ავტოსტრადაზე მოძრაობა შეწყვეტილია.

მდგომარეობის ნორმალიზაციის გზებს ეხილავდნენ საგარეო საქმეთა მინისტრისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელთა შეხვედრებზე, აგრეთვე ლიბან-პალესტინის კომისიის სხდომაზე.

ᲒᲝᲜᲘ ᲰᲔ. ᲨᲛᲘᲓᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ. (საკრებული). როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა განაცხადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დაინტერესებულია იმით, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი ამა წლის ივლისის დამლევს დამთავრდეს ჰელსინკში.

გამოვიდა რა პრესის წარმომადგენლების წინაშე ბონში, ჰ. შმიდტმა თქვა, რომ დასავლეთ გერმანიის კაბინეტმა დღეს განიხილა საკითხი სრულიად ევროპის თათბირზე მიღწეული პროგრესის შესახებ.

კანცლერმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მთავრობა აპირებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტს ვ. შელს გაუგზავნოს წინადადება ბუდეზსტაგის შედგომი არჩევნების 1976 წლის 3 ოქტომბერს მოწყობის შესახებ.

ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. (საკრებული). ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 29-ე სესიაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, დიდი ყურადღება დაეთმო 1976-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას. გეგმების კოორდინაციის დროს წინასწარ შეეთანხმეს ხაქონლის ურთიერთმიწოდება. წინასწარი მონაცემებით 1976-1980 წლებში ეკონომიური ურთიერთდახმარების ბანკს წევრი ქვეყნების ურთიერთსაქონელბრუნვის მოცულობა მიმდინარე ხუთწლედთან შედარებით 57 პროცენტით გაიზრდება.

სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციამ ხელი შეუწყო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 1976-1980 წლების მრავალმხრივი საინტეგრაციო ღონისძიებების შეთანხმებული გეგმის პროექტის შემუშავებას. ასეთი დოკუმენტი პირველად შეიმუშავეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის წლებში, ოვითვალისწინებს ობიექტების ერთობლივ მშენებლობას, სპეციალიზებული და კოოპერირებული პროდუქციის მიწოდებას, სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტასა და ა. შ.

სესია მუშაობას განაგრძობს.

ᲚᲘᲡᲐᲒᲝᲜᲘ ᲣᲮᲐᲛᲡᲘ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐ

ᲚᲘᲡᲐᲒᲝᲜᲘ. (საკრებული). იმასთან დაკავშირებით, რომ ფრანგულ გაზეთ „კოტიდიენ დე პარიში“ გამოქვეყნდა ლისაბონის გაზეთ „რესპუბლიკის“ ზოგიერთი თანამშრომლისაგან მიღებული ანტისაბჭოური ნაყალბევი, პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„გარდა იმისა, რომ ამ „დოკუმენტში“ მეორდება ძველი მომბეზრებელი ჭორები, იგი წარმოადგენს უხეშ პროვოკაციას, რომელიც არავინ იცის სად და ვინ მოამზადა, მაგრამ ისეთ პროვოკაციას, რომელთა მოწყობაში გასაკვირვებით დასპეციალებულია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.

მისი მიზანია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ცილისწამებლური ანტიკომუნისტური კამპანიის გაღვივება, რომელსაც ერთი ხანია ეწევიან შინაური და გარეშე რეაქციულ-პოლიტიკური და კონსერვატიული ძალები. ეს „დოკუმენტი“ ეგრეთვე უხამსი ცილისწამებაა კომუნისტურ პარტიებზე, კერძოდ პორტუგალიის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე.

ამ მონაპირობის გამოქვეყნება ამკამად შემთხვევითი როდია. იგი ნაწილია პოლიტიკური პრაქტიკისა, რომელიც მიზნად ისახავს გათიშოს დემოკრატიული ძალები და ხალხს მისცეს, შეიმნას ეჭვის ვითარება, ახალი სიძნელეები პორტუგალიის რევოლუციისათვის.

ისინი, ვინც ახლა მიმართავს ამ ცილისწამებას, და, უწინარეს ყოვლისა, ისინი, ვინც პრესის ფურცლებზე ბეჭდავს მათ, განსაკუთრებით რეგიოლუციური პროცესის განვითარების ახლანდელ პირობებში, მხოლოდ თავიანთ უნიჭობას ამჟღავნებენ, როცა ანტიკომუნიზმის ძველ და საკმაოდ გაცვეთილ არსენალს მიმართავენ. ეს ცდები, ისევე როგორც უწინდელი, მარცხით დამთავრდება.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ რუსული და საბჭოთა ფერწერის შედევრების გამოფენაზე წარმოდგენილია ი. რეპინის „ბურლაკები ვოლგაზე“, ი. აივაზოვსკის „მღელვარე ზღვა“, ი. შიშკინის „ჭვავი“ და სხვ. ექსპონირებულია საბჭოთა მხატვრების ი. ბროდსკის, ა. დეინეკას, ა. გერასიმოვის, ფ. პიმენოვის, ნ. რომადინის, ა. პლასტოვის და სხვათა სურათები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: გამოფენის დამთვალიერებლები იძენენ წიგნებს რუსული და საბჭოთა ფერწერის შესახებ, რეპროდუქციებს, ღია ბარათებს.

ᲡᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ

ᲛᲔᲛᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ. (საკრებული). კონსტრუქციული და ხაქმიანი ვითარება ახასიათებს აქ მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციას ქალის საერთაშორისო წლის ფარგლებში. ამ დიდმნიშვნელოვანი ფორუმის ტრიბუნაზე უკვე გამოვიდა ქალთა სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების 80-მდე წარმომადგენელი.

ორატორთა დიდმა უმრავლესობამ გამოთქვა რწმენა, რომ ქალთა ნამდვილი ემანსიპაცია შეუძლებელია, თუ არ გადაიჭრა კონკრეტული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პრობლემები, თუ არ განმტკიცდა მშვიდობა და არ გაღრმავდა დაძაბულობის შენელების პროცესი. თუ არ აიღაგმა აგრესიის ძალები, არ მოისპო კოლონიალიზმის, რასიზმისა და ეკონომიური დამოკიდებულების წყლულები.

კონფერენციის მუშაობაში დიდ აქტიურობას იჩენენ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნების დელეგაციები.

აფრიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აფრიკელი ქალი ნამდვილად თავისუფალი და თანასწორუფლებიანი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, როცა კონტინენტზე მთლიანად „მოეღება ბოლო კოლონიალიზმის, — რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის ბოროტებას. სანამ მილიონობით აფრიკელი ჩაგრული და დამონებული რჩება, განაცხადა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წარმომადგენელმა სალიმატუ დიალომ, შეუძლებელია სერიოზულად ვილაპარაკოთ კონტინენტზე ქალთა ემანსიპაციის მიღწევის შესახებ.

ᲓᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

ᲓᲔᲚᲘ. (საკრებული). გუშინ ინდოეთის პრეზიდენტმა ფაპრუდინ ალი აჰმედმა გამოაცხადა, რომ ქვეყანაში შემოღებულია საგანგებო წესები შინაური არეულობის საფრთხის გამო. პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ რადიოთი მიმართა ერს. მან განაცხადა, რომ საგანგებო წესები შემოღებულია, რადგან მთავრობამ შეიტყო ოპოზიციური პარტიათა ზრახვები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საშინაო უშიშროებას“ „ჩვენი უზენაესი ვალია, — თქვა ინდირა განდიმ, — დავიცვათ ერთიანობა და სტაბილურობა. ჩვენი ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების ამოცანა მოითხოვს გადამწყვეტ მოქმედებას“.

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნის საშინაო მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდება, რაც შექმნის საგანგებო წესების გაუქმების შესაძლებლობას. მალე გამოცხადდება დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ღონისძიებანი.

როგორც ინდირა განდიმ აღნიშნა, სცადეს არმიისა და პოლიციის წაქეზება ბრძანებათა შეუსრულებლობისთვის. მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ჩვენი არმია ძლიერია და კარგად ესმის, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია.

ქვეყანაში არის ფართოდ გაფრცელებული შეთქმულება, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, და ცდილობენ დემოკრატიის ძირგამოთხრას, აღვივებენ რელიგიურ-თემურ განწყობილებებს, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიას.

შინაური უშიშროების დაცვის კანონის საფუძველზე გუშინ დილით დააპატიმრეს ოპოზიციის ზოგიერთი მოღვაწე — მემარჯვენე პარტიების, აგრეთვე მმართველი ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის წარმომადგენლები.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲯᲐᲐᲑᲐ. კოისპირული წვიმები თავს დაატყდა სამშობლოს როტერდამს, გაუდუსა და სამხრეთ ჰოლანდიის პროვინციის მთელ რიგ სხვა ქალაქებს. განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა გაუდა. დღე-ღამის განმავლობაში აქ ჩამოვიდა 140,5 მილიმეტრი ნალექები — ეს ბევრად აღემატება საშუალო თვიურ ნორმას.

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘᲡ. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია, ბაზგასმულია კომუნიკეში, რომელიც პალესტინელ გლეხთა ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს აქ.

ყრილობის დელეგატებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ომანის ხალხის სამართლიან ბრძოლას, ბრძოლას თავისი ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. ბრაზილიის ხამხეკრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი „ფ-5ბ“ მთის დაეჯახა და დაიმსხვრა რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად. მფრინავი დაიღუპა.

ᲙᲐᲘᲠᲝ. ეგვიპტის ეკონომიკის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქვეყნის მტკნარ წყლიან წყალსაცავებში თევზჭერის საკითხს.

ერთ-ერთი პერსპექტიული ტბაა ნასერის წყალსაცავი, რომელიც შეიქმნა ასუანის მაღლივი კაშხალის აგების შედეგად. სარნტერესო კვლევა განახორციელეს იქთიოლოგებმა ბრინჯის ნაკვეთებზე კობრის მოშენების შესახებ. გამოცდილებამ ცხადყო, რომ წყლიან ზედაპირზე ყოველ ფედანზე (რომი ფედანი უდრის 0,42 ჰექტარს) შეიძლება დაიჭირონ დაახლოებით ერთი ცენტნერი თევზი.

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲠ ᲬᲧᲝᲤᲜᲘᲗ... ᲬᲧᲐᲚᲘ

ᲜᲐᲒᲘᲡᲘᲡ თვეებში იაპონიის მეტ წილ რაიონებში ოფიციალურად ზღუდავენ წყლის ხარჯვას.

და მაინც 1965 წლისათვის მტკნარი წყლის მოხმარება, ეკონომისტთა აზრით, 27 მილიარდ ტონამდე გაიზრდება. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვარაუდობენ ახალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის ხარჯზე. მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ხახსრების ნაკლებობის ხაბაბით უარი თქვა ხუბსიდიებზე. დიდი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა გამოიყოს მშენებლობის სამინისტროს მიერ პოთხოვნილი თანხის ნახევარზე ნაკლები. 180 კაშხალი და ჯებირი, რომლებიც ამ თანხით უახლოეს 10 წელიწადში აიგება 1985 წლისათვის უზრუნველყოფს იაპონიის მოსახლეობას მხოლოდ 22,5 მილიარდი ტონა წყლით. ამავე დროს ამ გეგმა-მინიმუმის შესრულების იმედიც არა აქვთ, ვინაიდან საფინანსო წელს მთავრობამ ათი წლისათვის გათვალისწინებული თანხის მხოლოდ ოცდამეათე ნაწილი გამოყო.

ᲔᲛᲐᲜᲡᲘᲞᲐᲪᲘᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲐᲓ

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ პროპაგანდა სტერეოტიპულად იმეორებს: „ამომავალი მზის ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია წარსულის ზოგიერთი გადმონაშთები, ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი დიდხანია გადაწყვეტილია...“

თუ ამ სტერეოტიპს იაპონიის ყოველდღიური ცხოვრებაში გადმოვიტანთ და თუნდაც ამას წინათ გამართული საერთო-ეროვნული არჩევნების შედეგებს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს სინამდვილეს მოკლებულია. არც ერთი იაპონელი ქალი არ იქნა არჩეული ქალაქის მერად, პარლამენტის დეპუტატთა შორის ქალები მხოლოდ სამ პროცენტს შეადგენენ, საპრეფექტურო კრებაში — ერთ პროცენტს, მუნიციპალიტეტებში — 1,6, წვრილი ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობაში — 0,4 პროცენტს. მეტი წილი იაპონელი მამაკაცების აზრით ქალების მოღვაწეობის მთავარი სფერო ოჯახი და სამზარეულოა.

ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ მათხოვარი დღეს ალბათ არც კი დაიხრება ქუჩაში დაგდებული ალუმინის ერთიენიანი მონეტის ასაღებად. დღევანდელი ინფლაციის პირობებში მისი მყიდველობითი უნარი ფაქტიურად ნოლს გაუთანაბდა. ხოლო რაც შეეხება ფულად ერთეულებს ხენას, რინას, და მოს, რომლებიც შესაბამისად იენის შეასდეს, მეათასედს და მეათათასედს შეადგენენ, მათზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ინფლაციის წინააღმდეგ პროტესტის ორიგინალურ ხერხს მიმართავ იაპონელმა პოეტმა სინიტი ეგუტიმ, რომელიც უშვებს ეურნალ „ტი ნო სიოს“. ეს ეროველ-კვირეული რომელიც ამხილებს საზოგადოების სოციალურ წესულებებს, დიდად პოპულარულია. მისი ფასი უაღრესად დაბალი იყო — 101 იენი. შემდეგ სინიტი ეგუტიმ მისი ფასი ჯერ ერთ იენამდე დაიყვანა. ხოლო შემდეგ — ერთ სენამდე. ახლა ეურნალის გარეკანზე აწერია ფასი ერთი მო. მაგრამ როგორ უნდა იყიდო ეურნალი. როცა იენზე ნაკლები ღირებულების მონეტები მიმოქცევაში არ არის და სენას რინას და მოს მხოლოდ ნუმიზმატების კოლექციაში თუ შეხვდებით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ.

ᲐᲜᲯᲘᲡᲝᲕᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲐᲑᲚᲝᲜᲔᲑᲘᲗ

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ძალები, „ცივი ომის“ მომხრენი ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს, სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ავტორიტეტის ზრდას, გააღვივონ ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოთა ისტერია.

მსოფლიო ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა ნაირფერ ლეგიონში ცოტანი როდი არიან ისეთი პირები, ვინც დასპეციალებულია საბჭოთა ლიტერატურის — სოციალისტურ რეალიზმის ლიტერატურის დისკრედიტაციაში. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში შექმნილია „სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. უნივერსიტეტების კათედრები. რომლებიც მოწოდებული არიან შეისწავლონ და შესაბამისი კომენტარები გაუკეთონ საბჭოთა ლიტერატურას. რათა წინააღმდეგობა გაუწიონ მის გავრცელებას. ადგილობრივ გონებაზე ბავშვებს. გამოდის მრავალი პერიოდული გამოცემა და „ბიბლიოგრაფიათა“ სქელი ტომები, რომლებშიც ცილისწამებითა და ჭორებით ყველიან სიმართლეს საბჭოთა კავშირში ლიტერატურულ პროცესზე.

• • •

ვინ არიან ისინი, საბჭოთა ლიტერატურის ეს ფალსიფიკატორები, მრავალფეროვნული სოციალისტური კულტურის განვითარების პროცესის ცრუგანმარტებლები?

მათს რიგებში არიან სხვადასხვა ჯერის რეაქციონერები, ისინიც, ვინც თავის დრაზე ჟულმოდენედან ემსახურებოდა ჰიტლერს. ამ სარბიელზე იღწვიან თვითრეგალალი ემიგრანტებიც (ამრიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ვერა ალექსანდროვა. ჯფრ-ში —. ნატალია ტარასოვა. რომ-ლიც ამბოდს ბარბარა ბოდეს ეუნეგდნიმით). სოციალიზმს ქვეყნიბიდან გაქცეული და ყოველნაირი რენეგატებიც.

უკანასკნელ წლებში. როგორ დადგა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. როგორ ფართოვდება კულტურული ურთიერთობები ქვეყნებს შორის, „სოციალისტური“ ეკონომიკა რამდენადმი შეიცვალა. ისინი ძალიან ცუდ ორად ერიდნენ სოციალიზმის წარმატებათა და კრძოდ. სოციალისტური კულტურის ბიუნეტათა ბორკილებ. ამაოდ ეძებენ ეროვნულ ფესვებ. ამაოდ ეძებენ „ეროვნულ ფესვებ“

საქართველოს ამა-ბაგეთ

გვატყობინებენ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები

დიპლომი კოლმეურნეობას

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა შარშანდელი მაჩვენებლებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

ახლახან ჩაისუბნელებს კიდევ ერთი ჯილდო გადაეცათ — უცხოელ ტურისტების მიღებასა და მომსახურებაში აქტიური მონაწილეობისათვის კოლექტივი დაჯილდოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოელთა ტურიზმის საბჭოს დიპლომით.

ჩაისუბნის კოლმეურნეობის მიღწევების გასაცნობად მრავალი ტურისტი ჩამოდის.

— შარშან, გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. აბაშიძემ, — გვესტუმრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკიელი, ინდოელი — ტურისტები და დელეგაციების წევრები. მათ მოსწონთ ჩვენი კუთხე, ჩვენი შრომისმოყვარე ხალხის ნაამაგარი.

ქართული ჩაის მისამართები

ლენინგრადი-პოლანდია

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ასეთი მისამართი აქვს ზუგდიდელთა პროდუქციას — შავი ბაიხის ჩაის, რომელიც ლენინგრადის გავლით ჰოლანდიაში იგზავნება.

ქართული ჩაი დიდი მოწონებით სარგებლობს ჰოლანდიაში. წელს მარტო ზუგდიდიდან ჰოლანდიელთა დაკვეთით იქ გაიგზავნება 160 ტონა მეორე ხარისხის შავი ბაიხის ჩაი. ახალი მოსავლის ნედლეულიდან ჩაის ფაბრიკებმა გადაამუშავეს და მომხმარებელს გაუგზავნეს 100 ტონა პროდუქცია. დანარჩენი 60 ტონა ნედლეული სეზონის ბოლომდე გაგზავნება.

რაიონის ჩაის ფაბრიკები სეზონში საექსპორტოდ სულ 300 ტონა ჩაის გამოუშვებენ, მათ შორის 80 ტონას — პირველი ხარისხისას. გარდა ჰოლანდიისა, ზუგდიდის მარკით ჩაი გაიგზავნება პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საჰაერო გზა თუშეთში

ახმეტა. (საკ. კორ.). კავკასიონის მაღალ მთებში მდებარე თუშეთის ხეობები რაიონის ცენტრიდან მეტად დაშორებულია და ძნელია მისასვლა. აქ მხოლოდ ქვეითად ან ცხენით შეიძლებოდა მგზავრობა.

ამ ხეობებში გაიხსნა საჰაერო ტრასა ახმეტა-ომალო (თუშეთის ცენტრალური სოფელი). 10 ადგილიან ვერტმფრენებს სისტემატურად გადაჰყავს მგზავრები და გადაქონს ტვირთი.

მხატვართა გამოფენაზე

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მხატვართა კავშირის ხელოვნურ დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე მხატვრობელ და ლანჩხუთელ მხატვართა ნამუშევრები.

ფერმწერთა, გრაფიკოსთა, სკულპტორთა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები ასახავენ შრომას, სამშობლოს, ხალხის ბედნიერებას დიდ სამამულო ომში, ჩვენი ქვეყნის წარსულსა და დღევანდელობას.

ეს სამჩანევად იმატა ხიცხეებმა. თბილისელები თავისუფალ საათებს სუფთა ჰაერზე ატარებენ — მიდიან კულტურისა და დასვენების პარკებში, ლისისა და კუს ტბაზე, თბილისის ზღვის სანაპიროზე.

სურათზე: ახალგაზრდა დედები თავიანთ შვილებს ასეირნებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე.

ა. სააკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კურორტებზე



ზაფხული დასვენების შესანიშნავი ხანაა. აჭარის კურორტებზე — ბათუმში, მწვანე კონცხზე, მახინჯაურში, ციხისძირში დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, პანსიონატები, კემპინგები და მოტოოტელები მთელი დატვირთვით მუშაობენ. აჭარის სანაპირო ათასობით დამსვენებელს იზიდავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან. სურათზე: დამსვენებლებს უყვართ მზის აბაზანების მიღება ციხისძირის მახლობლად, კლდეებზე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

1975 — ქალის საერთაშორისო წელი

ქალი და თანამედროვეობა

ქალის საერთაშორისო წლის რესპუბლიკური კომისიის ინიციატივით სოფელ ღორჯომში ჩატარდა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: ქალი და თანამედროვეობა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ხუთოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ეთერ აბულაძემ.

საინტერესო ლექციები წაიკითხეს პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა რენა ხარაშვილმა, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლამარა ბოლქვაძემ, განათლების მინისტრმა გ. წულუკიძემ.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმმა მადონა ახალაიამ, მეკვიძეებისა და ღორჯომის ქალთა სახოლო კომიტეტების თავმჯდომარეებმა თამარ ბოლქვაძემ და მარგო მელაძემ, გორგაძეების რვაწლიანი სკოლის პედაგოგმა ზინა ბეგდინაძემ, ღორჯომის კოლმეურნეობის მეთამბაჭეობამ მაგილე საბაძემ, ღორჯომის საშუალო სკოლის დირექტორმა ი. ირემაძემ, ახალგაზრდა პოეტმა ციცანა ანთაძემ, პარტიის რაიკომის მდივანმა გ. ჯიმშერაძემ.

ბ. აბულაძე.

ლექციები, მოხსენებები

ცაგერი. (სპპ. კორ.). საინტერესო საქმიანობას ეწევა სოფელ ოყურეშის ქალთა შორის მუშაობის საბჭო. მისი ინიციატივით ქალებისათვის ეწყობა ლექციები, მოხსენებები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები.

ამ დღეებში სასოფლო კლუბში მოეწყო შეხვედრა შინმოუსვლელ ჯარისკაცთა დედებთან. ამაღელვებელი იყო დედების ე. ჩარკვიანისა და ა. ნიკანიწვეიძის სიტყვები, რომელთა შვილები გმირული სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე. დედებმა მოგონებს სამშობლოს დასაცავად მიმავალ ოყურეშელ ახალგაზრდებთან განმორების მძიმე წუთები.

მეცნიერება იმოორჩილებს

ეთელი მსოფლიოს სპეციალისტებს შესაძლებლობა მისცეს ფაროდ გამოიყენონ თანამშრომლები, კოსმოსური ზონდები მეცნიერული კვლევისათვის — ასეთი მიზანი დაისახა კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტმა (კოსპარმა) თავისი არსებობის პირველი დღეებიდან. რა თქმა უნდა იმ დროს, როცა იგი დააარსეს (1958 წელს), სიტყვები ახალ შესაძლებლობათა შესახებ, რომლებსაც ეკონომიკის წინაშე კოსმონავტიკა სახავს, ფრაზად გვეწვენებოდა. ეს იყო პირველ გაშვებათა — საბჭოთა კავშირის და ამერიკის მიერ გაშვებათა დრო. და კიდევ დიდხანს სეპტემბერსები გაიძახოდნენ, ეს ფუფუნებაა, რომლის განხორციელება შეიძლება თავს ნება მისცენ მხოლოდ მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა, როგორიც არიან სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. კოსმოსური პროგრამები ძვირი ღირს, მაგრამ განა ბევრ სარგებლობას იძლევიან.

ახლა კოსპარი 36 წელია სახელმწიფოს ითვლის. ამას წინათ შემდგარ მე-18 სესიაზე ვარნანი (ბულგარეთი) მათ 450 მოხსენება წარადგინეს. მუშაობაში მონაწილეობდნენ ინტერნაციონალური დაწესებულებანი: განვითარებადს ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კომიტეტი, გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირი, ბარომეთ პრობლემების სამეცნიერო კომიტეტი, ჯანმოთვლელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვები.

კოსპარის XVIII სესიიდ დაიწყო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მიერ გაშვების შემდეგ (თანამგზავრი „არიაბატა“) და დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტამდე — „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ერთობლივ გაფრენამდე 40 დღით ადრე. საერთაშორისო მნიშვნელობის ორიგინალ მოვლენა იმის მაგალითია, თუ რა გავლენას ახდენენ კოსმოსური პროგრამები ეკონომიკაზე.

როცა განხორციელდა მოხსენებულთაგან პირველი პროექტი, რასაც სამ წელიწადზე ნაკლები დასჭირდა, მისმა გენერალურმა დირექტორმა ინდოეთის მხრიდან პროფესორმა ჯ. რაომ განაცხადა: „ჩვენი ქვეყანა დიდია, და მას წინაშე დიდი პრობლემები დგას. მას განვითარებაში საგრძნობი ნახტომის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმით თუ გამოიყენებთ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს, ისეთებისას, როგორიც არის კოსმონავტიკა. და ახლაც კი, როცა ჩვენმა თანამგზავრმა მხოლოდ ეს არის დაიწყო ფრენა, მისგან სარგებლობა უკვე საგრძნობია. ინდოეთის მრეწველობის, მაგალითად ისეთი დარგების პროგრესში, როგორიც ელექტრონიკა და მანქანათმშენებლობაა“.

ერთი შეხედვით ძნელია გამოიცნო ურთიერთკავშირი სახალხო მეურნეობის პრაქტიკასა და ვარნის სესიაზე გამართულ თეორიულ დისკუსიებს შორის. კოსპარს შვიდი მუშა ჯგუფი ჰყავს, აი მისი მხოლოდ ზოგიერთი მიმართულება: ატმოსფეროს ზედა ფენა, ატმოსფეროს ქვედა ფენა, ეკოლოგია, ბიოლოგია, ადამიანი კოსმოსში, ინფორმაციის დამუშავება, ინფორმაციის გადაცემა, ინფორმაციის ინტერპრეტაცია, ინფორმაციის ინტეგრაცია, ინფორმაციის ინტერფერენცია, ინფორმაციის ინტენსიფიკაცია, ინფორმაციის ინტერვენცია, ინფორმაციის ინტერნეტი, ინფორმაციის ინტერნეტ-ინტერ-ინტერ-ინ-ტერ-ინ-ტ-ერ-ინ-ტ-ერ-ინ-ტ-